გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 16/04/2014

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0414/15-1

2014 წლის 15 აპრილი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №1 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემები.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომრები 156, 163 და 298.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
135	***სახელები:*** 1. ქარი (QARI) 2. საიფულან (SAIFULLAH) 3. ტოხი (TOKHI) 4. ***დაბ.თარიღი:***	ა) ქარი საიფულაჰ (Qari Saifullah) ბ) ქარი საიფულაჰ ალ ტოხი (Qari Saifullah Al Tokhi) გ) საიფულაჰ ტოხი (Saifullah Tokhi)	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***	ავღანეთი/პაკისტანის საზღვრის რეგიონი (Afghanistan/Pakistan border region)	19.03.14.	ზაბულის პროვინციის სამხედრო მეთაური და თალიბანის ჩრდილოვანი მმართველის მოადგილე,

	ა) დაახლოებით 1964 ***<u>დაბ.ადგილი:</u>*** ა) დარაზ ჯალდაკი, ქალათის რაიონი, ზაბულის პროვინცია, ავღანეთი (Daraz Jaldak, Qalat District, Zabul Province, Afghanistan). ***<u>ეროვნება/მოქალაქეობა:</u>*** ავღანელი	დ) ქარი საჰაბ (Qari Sahab)				პასუხისმგებელია თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების განთავსებასა და თვითმკვლელ ტერორისტთა თავდასხმების ორგანიზებაზე. ფიზიკური აღწერილობა: სიმაღლე 180 სმ; წონა დაახლოებით 90 კგ; ათლეტური აღნაგობის; თვალის ფერი: – ყავისფერი; თმის ფერი: – წითელი; კანის ფერი: – საშუალოდ შავგრემანი; განმასხვავებელი ფიზიკური ნიშნები: დიდი მრგვალი სახე, მოშვებული წვერი, გადაადგილდება კოჭლობით მარცხენა მუხლში არსებული პლასტიკური პროთეზის გამო. ეთნიკური წარმომავლობა: პუშტუნი (Pashtun), მიეკუთვნება ტოხის ტომს (Tokhi tribe), ბარკოზაის ქვეტომი (Barkozai sub-tribe). ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული. მამის სახელი: აღა მოჰამადი (Agha Mohammad). ძმის სახელი: ჰუმდულაჰ (Humdullah)